

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1494 (2003)

2003 წლის 30 ივლისი

უშიშროების საბჭო,

მიუთითებს რა ყველა თავის შესაბამის რეზოლუციას, კერძოდ 2003 წლის 30 იანვრის რეზოლუციას 1462 (2003),

განიხილა რა 2003 წლის 21 ივლისის გენერალური მდივნის მოხსენება (S/2003/751), იმოწმებს რა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) უმაღლესი დონის ლისაბონის (S/1997/57, დანართი) და სტამბოლის შეხვედრების დასკვნებს, რომელნიც ეხება ვითარებას აფხაზეთში, საქართველო,

მიუთითებს რა 1994 წლის 9 დეკემბერს მიღებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალის და მასთან დაკავშირებული პერსონალის უსაფრთხოების კონვენციაში არსებულ შესაბამის პრინციპებს,

გამოხატავს რა წუხილს იმის გამო, რომ იმ პირთა ვინაობა, ვინც ჩამოაგდო საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის ვერტფრენი 2001 წლის 8 ოქტომბერს, რის შედეგადაც დაიღუპა ბორტზე მყოფი ცხრა ადამიანი, ჯერ კიდევ დადგენილი არ არის,

ხაზს უსვამს რა, რომ აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების საკვანძო საკითხებზე პროგრესის არარსებობის შენარჩუნება, მიუღებელია, მიესალმება რა, ამასთან ერთად, იმ დადებით იმპულსს, რომელიც შესძინეს მშვიდობიან პროცესს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მეგობართა ჯგუფის ორმა თათბირმა მაღალ დონეზე ქენევაში და სოჭში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების შემდგომმა შეხვედრამ,

მიესალმება რა აგრეთვე მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც შეიტანეს კონფლიქტის ზონაში სიტუაციის სტაბილიზაციის საქმეში საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიამ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიურმა სამშვიდობო ძალებმა (დსთ სამშვიდობო ძალებმა) და ხაზს უსვამს რა, თავის ერთგულებას მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობისადმი მათი შესაბამისი მანდატების აღსრულებაში,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 2003 წლის 21 ივლისის მოხსენებას (S/2003/751);

2. კვლავ ადასტურებს ყველა წევრი-სახელმწიფოს ერთგულებას საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებისადმი და ამ პრინციპების მკაცრი შესაბამისობით საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობას;

3. მაღალ შეფასებას აძლევს და მტკიცედ უჭერს მხარს უწყვეტ ძალისხმევას, რომელსაც ახორციელებენ გენერალური მდივანი და მისი სპეციალური წარმომადგენელი, რუსეთის ფედერაცია როგორც ხელშემწყობი მხარე, აგრეთვე გენერალური მდივნის მეგობრების ჯგუფი და ეუთოს სიტუაციის შემდგომი სტაბილიზაციის და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის მიზნით, რომელიც უნდა შეიცავდეს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის თაობაზე საკითხის მოგვარებას;

4. ხაზს უსვამს, კერძოდ, თავის მტკიცე მხარდაჭერას დოკუმენტისადმი სათაურით @თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა განაწილების ძირითადი პრინციპები@ და მისი თანმხლები წერილისადმი, რომელნიც საბოლოოდ იქნენ შეთანხმებულნი მეგობართა ჯგუფის ყველა წევრის მიერ და მათი სრული მხარდაჭერის პირობებში;

5. გამოხატავს ღრმა სინანულს, კერძოდ, აფხაზეთი მხარის მუდმივი უარის გამო დათანხმდეს ამ დოკუმენტის არსის განხილვას, კვლავ დაბეჯითებით მოუწოდებს აფხაზეთ მხარეს, მიიღოს ეს დოკუმენტი და მისი თანმხლები წერილი, დაბეჯითებით მოუწოდებს ორივე მხარეს ჩაატაროს ამის შემდეგ მათი სრული და ღია განხილვა და დაუყოვნებლივ შეუდგნენ კონსტრუქციულ მოლაპარაკებებს მათი არსის შესახებ და დაბეჯითებით მოუწოდებს მათ, ვისაც გააჩნია გავლენა მხარეებზე, ხელი შეუწყონ ამგვარ შედეგს;

6. გამოხატავს სინანულს პოლიტიკური სტატუსის თაობაზე მოლაპარაკებათა დაწყების საქმეში პროგრესის არარსებობის გამო და კვლავ ახსენებს იმას, რომ ამ დოკუმენტების მიზანს შეადგენს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მხარეებს შორის საგნობრივი მოლაპარაკებების ჩატარებისათვის ხელშეწყობა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაშიაფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის თაობაზე და არა იმაში, რომ ეცადოს თავს მოახვიოს ან უკარნახოს მხარეებს რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება;

7. ხაზს უსვამს შემდეგ, რომ მოლაპარაკებების პროცესი, რომელსაც მიჰყავს ორივე მხარისათვის მისაღებ მტკიცე პოლიტიკურ მოწესრიგებამდე, ორივე მხარისაგან გარკვეულ დათმობებს მოითხოვს;

8. მიესალმება ჟენევაში მეგობართა ჯგუფის მაღალ დონეზე ორი თათბირის და განსაკუთრებით მიესალმება ორი მხარის წარმომადგენლების პოზიტიური სულისკვეთებით მონაწილეობას მეორე თათბირში;

9. მიესალმება აგრეთვე ჟენევის პირველ თათბირზე მშვიდობიანი პროცესის წინსვლისათვის საკვანძო საკითხებად სამი ჯგუფის (ეკონომიკური თანამშრომლობა, ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნება, პოლიტიკური საკითხები და უსაფრთხოების საკითხები) განსაზღვრას და შემდგომ არსებითად ამ საკითხებზე მუშაობა, რუსეთის და საქართველოს ორმხრივი სამუშაო ჯგუფების მუშაობის ჩათვლით, 2003 წლის მარტში სოჭში ორ პრეზიდენტს შორის მიღწეული შეთანხმებისა და 2003 წლის 15 ივლისს მხარეთა მაღალი დონის პირველ თათბირზე გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის თავმჯდომარეობით და მეგობართა ჯგუფის მონაწილეობით;

10. მიესალმება შემდეგ მხარეთა ერთგულებას რეგულარულ და სტრუქტურირებულ საფუძველზე გააგრძელონ დიალოგი ეკონომიკური თანამშრომლობაზე, ლტოლვილთა დაბრუნებაზე, აგრეთვე, პოლიტიკურ საკითხებზე და უსაფრთხოების საკითხებზე და მათ შეთანხმებას კვლავ მიუერთდნენ მეგობართა ჯგუფს წლის ბოლოს პროგრესის განხილვის და შემდგომი ნაბიჯების შესწავლის მიზნით და მოუწოდებს მათ იმოქმედონ ამ ერთგულების კვალდაკვალ;

11. მოუწოდებს მხარეებს გაწიონ ყველა შესაძლო ძალისხმევა მათ შორის არსებული ურთიერთუნდობლობის დასაძლევად;

12. კვლავ მოუწოდებს მხარეებს უზრუნველყონ მშვიდობიანი პროცესის აუცილებელი გამოცოცხლება მის ყველა ძირითად ასპექტში, განაახლონ თავიანთი მუშაობა საკოორდინაციო საბჭოში და მის შესაბამის მექანიზმებში, განამტკიცონ შედეგები, მიღწეული ნდობის განმტკიცების ზომების თაობაზე 2001 წლის მარტში იალტაში ჩატარებულ შეხვედრაზე (S/2001/242), და მიზანმიმართულად და თანამშრომლობის საფუძველზე განახორციელონ მაშინ შეთანხმებული წინადადებანი და განიხილონ ნდობის განმტკიცების ზომების თაობაზე მეოთხე კონფერენციის ჩატარების შესაძლებლობა;

13. შეახსენებს ყველა დაინტერესებულ მხარეს თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მშვიდობიან პროცესს;

14. ხაზს უსვამს ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალ პირთა საკითხის გადაწყვეტაში პროგრესის მიღწევის გადაუდებელ აუცილებლობას, მოუწოდებს ორივე მხარეს აჩვენონ ქეშმარიტი ერთგულება მათი დაბრუნებისათვის საგანგებო ყურადღების მიქცევის მიმართ და გადაწყვიტონ ეს ამოცანა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიასთან მჭიდრო კოორდინაციით და კონსულტაციით გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამმართველოსთან და მეგობართა ჯგუფთან და შეახსენებს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სოჭში მიღწეული ურთიერთგაგების შესახებ, იმის თაობაზე რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა სოჭსა და თბილისს შორის განხორციელებული იქნება ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების პარალელურად, დაწყებული გალის რაიონიდან, კვლავ ადასტურებს კონფლიქტის შედეგად დემოგრაფიული ცვლილებების დაუშვებლობას, კვლავ ადასტურებს, აგრეთვე ყველა იმ ლტოლვილის და ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალი პირის, რომელსაც შეეხო კონფლიქტი, განუყოფელ უფლებას დაუბრუნდეს თავის მშობლიურ ადგილებს უსაფრთხოებისა და ღირსების პატივისცემის პირობებში საერთაშორისო სამართლის და 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმების (S/1994/397, დანართი I I) დებულებების და იალტის დეკლარაციის შესაბამისად;

15. შეახსენებს, რომ აფხაზურ მხარეს ეკისრება საგანგებო პასუხისმგებლობა დაბრუნებულთა დაცვისათვის და იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს დარჩენილი ადგილნაცვალი მოსახლეობის

დაბრუნებას და თხოვს, კერძოდ, გაეროს განვითარების პროგრამას, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს და ჰუმანიტარული საქმიანობის კოორდინაციის სამმართველოს, მიიღონ აუცილებელი შემდგომი ზომები, იმისათვის, რათა შეიქმნას ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების ხელშემწყობი პირობები, მათ შორის იმ პროექტების განხორციელების მეშვეობით, რომელთაც სწრაფი შედეგი აქვთ, განავითაროს მათი უნარ-ჩვევები და აამაღლოს მათი თვითუზრუნველყოფობა, თავიანთ მშობლიურ ადგილებში უსაფრთხოებისა და ღირსების პატივისცემის პირობებში დაბრუნების მათი განუყოფელი უფლების სრული პატივისცემით;

16. მიესალმება მხარეების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებული გალის რაიონში შეფასების ერთობლივი მისიის რეკომენდაციების დადებით განხილვას, კვლავ დაბეჯითებით მოუწოდებს მათ შეასრულონ ეს რეკომენდაციები და კერძოდ, მოუწოდებს აფხაზურ მხარეს დათანხმდეს სოხუმის ადამიანის უფლებების განყოფილების გალის ბიუროს რაც შეიძლება სწრაფად გახსნაზე და უზრუნველყოფილ იქნეს უსაფრთხოების პირობები მისი დაუბრკოლებელი ფუნქციონისათვის;

17. იწონებს გენერალური მდივნის რეკომენდაციებს, რომელთაც შეიცავდა მისი 2003 წლის 21 ივლისის (S/2003/751, პუნქტი 30) მოხსენება, იმის შესახებ, რომ საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის შტატს თავისი მანდატის განხორციელებისას მისი პოტენციალის განმტკიცებისათვის დაემატოს სამოქალაქო პოლიციის კომპონენტი 20 თანამშრომლის შემადგენლობით, კერძოდ იმით, რომ ხელი შეეწყოს პირობების შექმნას, რომელიც ხელსაყრელი იქნება ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალ პირებისა და ლტოლვილების უსაფრთხოების და ღირსების პატივისცემის პირობებში დაბრუნებას და მიესალმება მხარეთა მზადყოფნას შეასრულონ 2002 წლის ოქტომბერ-დეკემბერში უსაფრთხოების პირობების შეფასების მისიის რეკომენდაციები;

18. მოუწოდებს, კერძოდ, აფხაზურ მხარეს, გააუმჯობესოს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა ადგილობრივი მოსახლეობის მოზიდვით და იმუშაონ პრობლემის გადაწყვეტაზე, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ეთნიკურად ქართული მოსახლეობა მოკლებულია მშობლიურ ენაზე სწავლების საშუალებას;

19. გმობს ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დამორიშორების თაობაზე 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმების ნებისმიერ დარღვევას (S/1994/583, დანართი I);

20. მოუწოდებს ორივე მხარეს ღიად განაცხადონ თავიანთი უარი საომარ რიტორიკაზე და სამხედრო ვარიანტების და უკანონო შეიარაღებული ჯგუფების საქმიანობის მხარდამჭერ გამოსვლებზე და მოუწოდებს ქართულ მხარეს, კერძოდ, გააგრძელოს თავისი ძალისხმევა მიმართული იმისაკენ, რომ ბოლო მოეღოს უკანონო შეიარაღებული ჯგუფების საქმიანობას;

21. მიესალმება ფარდობით სიმშვიდეს კოდორის ხეობაში და მხარეების მიერ კვლავ დადასტურებულ განზრახვას მოაწესრიგონ სიტუაცია მშვიდობიანი გზით, შეახსენებს თავის მტკიცე მხარდაჭერას ორივე მხარის მიერ 2002 წლის 2 აპრილს ხელმოწერილი ოქმისადმი, რომელიც ეხება ვითარებას კოდორის ხეობაში, მოუწოდებს ორივე მხარეს და კერძოდ, ქართულ მხარეს, გააგრძელოს ამ ოქმის შესრულება სრული მოცულობით, ცნობს ამ რაიონში სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოების თაობაზე არსებულ კანონიერ შიშს, მოუწოდებს თბილისსა და სოხუმში პოლიტიკურ ხელმძღვანელებს დაიცვან შეთანხმება უსაფრთხოების საკითხებზე და მოუწოდებს ორივე მხარეს, გაწიონ ყოველგვარი ძალისხმევა კოდორის ხეობაში და მის შემოგარენში მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ურთიერთმისაღები რეჟიმის შეთანხმებისათვის;

22. ამასთან, გადაჭრით გმობს 2003 წლის 5 ივლისს, საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის ოთხი თანამშრომლის გატაცებას რაც უკვე მისიის დაარსების დღიდან მეექვსე შემთხვევას წარმოადგენს, გამოხატავს ღრმა წუხილს იმის თაობაზე, რომ არც ერთი დამნაშავე დადგენილი არაა და არაა მიცემული პასუხისგებაში და ადასტურებს გენერალური მდივნის მოწოდებას იმის თაობაზე, რომ ამგვარ დაუსჯელობას ბოლო უნდა მოეღოს;

23. მიესალმება დამატებით ზომებს ვერტფრენების ფრენის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შემოდგომულს 2001 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის ვერტფრენის განადგურების საპასუხოდ, კვლავ მოუწოდებს მხარეებს მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა ამ თავდასხმაზე პასუხისმგებელი პირების დასადგენად და მათი

მართლმსაჯულებისათვის გადასაცემად და მიეწოდოს ინფორმაცია სპეციალურ წარმომადგენელს ამ ზომების გატარების თაობაზე;

24. მოუწოდებს ქართულ მხარეს გააგრძელოს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიისა და დსთ სამშვიდობო ძალების უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესება კოდორის ხეობაში ერთობლივი პატრულებისათვის, იმისათვის, რომ მათ შეძლონ მდგომარეობის დამოუკიდებლად და რეგულარულად გაკონტროლება;

25. ხაზს უსვამს, რომ ორივე მხარეს ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის, დსთ სამშვიდობო ძალებისა და სხვა საერთაშორისო პერსონალის სათანადო უსაფრთხოებისა და გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფისათვის;

26. მიესალმება იმ გარემოებას, რომ საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის მუდმივი მხედველობის არეში იმყოფება მისიის უსაფრთხოების ორგანიზების საკითხი, იმით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მისი პერსონალის უსაფრთხოების რაც შეიძლება მაღალი ხარისხი.

27. ადგენს გაგრძელდეს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის მანდატი შემდეგი პერიოდისათვის, რომელიც დასრულდება 2004 წლის 31 იანვარს, ამასთან, მისი მანდატი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს საბჭოს მიერ დსთ სამშვიდობო ძალების მანდატში ცვლილებების გამო;

28. სთხოვს გენერალურ მდივანს გააგრძელოს საბჭოს რეგულარული ინფორმირება და ამ რეზოლუციის მიღების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ წარმოადგინოს მოხსენება ვითარების შესახებ აფხაზეთში, საქართველო;

29. ადგენს გაგრძელდეს ამ საკითხზე აქტიური მუშაობა.

www.un.org/docs. საკუთარი თარგმანი)